# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  სამშაბათი, 4 ოქტომბერი 1994 № 53 (128)  ფასი სახელშეკრულებო

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა, აღნაგი, ჯან-ღონით სავსე... უეჭველად გაიფიქრებდით, ეს კაცი მართლა სპორტისთვისაა გაჩენილიო. გულს გაგიხარებდათ მისი ხილვა, ამისთანა ქართველები გვიმრავლოსო, ინატრებდით...

სულ ცოტა ხნის წინ იყო, რომ გაუწყეთ: კრივის საერთაშორისო ფედერაციამ ბოლო წლების შედეგების გათვალისწინებით შეადგინა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეების საკლასიფიკაციო ნუსხა და ზემძიმეწონოსანთა ათეულში ფოთელი

## ზურაბ სარსანია

დაასახელესო. გავიდა რამდენიმე დღე და ტრაგიკულმა ცნობამ შეგვძრა: 29 სექტემბერს ისნის ბაზრობაზე ავტომატის ჯერით დაცხრილეს ზურაბ სარსანია...

ეს მართლაც დიდი დანაკლისია ქართული სპორტისთვის. 21 წლის მოკრივისთვის ახლაღა დგებოდა ის დრო, თავისი სათქმელი სრულად რომ უნდა ეთქვა. შარშან ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, თავის წონაში მსოფლიო ელიტაშიც დაიმკვიდრა ადგილი, საქართველოდან წასვლაზე არც უფიქრია, აქ იყო, შეჭირვებულ სამშობლოში მისი რანგის სპორტსმენისთვის შეუფერებელ მცირედსაც კმარობდა, როგორც სპორტსმენი, ათას გასაჭირსაც უძლებდა და ატლანტის ოლიმპიადაზე სამშობლოს სახელით გამოსასვლელად ემზადებოდა...

# ალეგორია თუ..

რამდენიმე დღის წინ ფეხბურთის ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელის, ჯემალ ჭიპაშვილის მეშვეობით დაგვიკავშირდა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე. მან აღშფოთება გამოხატა „სარბიელის" წლევანდელ 49-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილის „ყრილობა ფარსი იყო"-ს ერთ-ერთი პასაჟის თაობაზე. კერძოდ, საქმე ეხება გივი ნოდიას ალეგორიულ ნათქვამს: „როდესაც კარგი მონადირე სანადიროდ მიდის, წინა ღამეს იგი არ დათვრება, ტყვია წამალს გაამზადებს, თოფს კიდევ ერთხელ გაწმენდს და ნადირობისას პირველივე ნადირ-ფრინველს მოინადირებს". ბატონი საშას თქმით, მან სიტყვა დათრობა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო. მასთან ფეხბურთის ფედერაციაში შეხვედრისას იქ მყოფმა ოთარ გაბელიამ, თამაზ კოსტავამ, გია ჭილაიამ და სხვა ფეხბურთელებმაც იგივე დაადასტურეს. ისიც დასძინეს, ეს ნათქვამი ჩვენი ახლობლების და ფეხბურთის გულშემატკივრების უმრავლესობამაც ასევე პირდაპირი მნიშვნელობით გაიგოო. ჩივაძემ საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოითხოვა რეპუტაციის შელახვისათვის. „როგორც მწვრთნელი, რამდენიც გნებავთ მაკრიტიკეთ, როგორც პიროვნებას კი ნუ შემეხებით, ამის უფლებას არავის მოგცემთ" — განაცხადა ბატონმა საშამ. ჩემი მხრიდან დავსძენ, რომ არც იმ მომენტში და არც საერთოდ, გულშიაც არ გამივლია ჩვენი სათაყვანებელი ფეხბურთელის შეურაცხყოფა, მიუხედავად იმისა, რომ ბაზაზე არშემვებისა და მოლდოვას ნაკრებთან მარცხის შემდგომ პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობის გამო თავი შეურაცხყოფილად მრავალმა ჟურნალისტმა იგრძნო. გივი ნოდიას ალეგორიული ნათქვამი მეც ალეგორიულადვე გავიგე და გაზეთშიც ასევე გადავიტანე.





რაც შეეხება ამის თაობაზე გივი ნოდიას აზრს, აი, რა მითხრა მან: ჩემი მეგობრისა და კოლეგის საშა ჩივაძის შეურაცხყოფა გულშიაც არ გამივლია. იმ ალეგორიულ გამონათქვამში საერთოდ მატჩისთვის მზადება ვიგულისხმე და არა ღვინის სმა. თავად დავრჩები მადლობელი, თუ საშა ჩემს მიმართაც ასე კრიტიკულად იქნება განწყობილი, რადგან თვითკმაყოფილი მწვრთნელი ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას, საღი კრიტიკა კი თითქოს გაფხიზლებს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მე მაინც ვალდებულად ვთვლი ბოდიში მოვუხადო საშა ჩივაძეს, თუ რაიმეში ჩემი მიზეზით თავი შეურაცხყოფილად იგრძნო".

მე კი ისღა დამრჩენია, სპორტული ჟურნალისტების სახელით წარმატება და გამარჯვება ვუსურვო ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბულგარეთთან მატჩში. იმედია, ამის მერე მთავარი მწვრთნელი თავს არ აარიდებს მედიასთან შეხვედრას და არცერთ კითხვას უპასუხოდ არ დატოვებს...

მამუკა კვარაცხელია

## დინამო — სამტრედია

ხვალ, 15 საათზე, ეროვნულ სტადიონზე გაიმართება საქართველოს ჩემპიონატის IV ტურიდან გამოტოვებული მატჩი: ლიდერი, თბილისის „დინამო" თავის უახლოეს მდევარს, „სამტრედიას" უმასპინძლებს.

# პრეტენდენტთა ფინალი: ჩიბურდანიძე — პოლგარი



ტილბურგში დასრულებულ მოჭადრაკე ქალთა ტურნირს უნდა დაესახელებინა ის ორი მოჭადრაკე, რომელთაც ერთმანეთში უნდა გაარკვიონ, ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონთან თამაშის უფლებას.

ცხრა პრეტენდენტს შორის სამი ჩვენიანი იყო: მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი და ქეთევან არახამია.

ჩიბურდანიძემ საბოლოოდ პირველი-მეორე ადგილები გაიყო უნგრელ ჟუჟა პოლგართან ერთად და გაისად, იანვარ-თებერვალში სწორედ მასთან მოუწევს 10 პარტიისგან შემდგარი მატჩის თამაში. სად გაიმართება ეს შეხვედრა, ჯერჯერობით დასადგენია, თუმცა უკვე გამოჩნდა პრეტენდენტთა მასპინძლობის ერთი მსურველი — კუნძული არუბა. მაიას გამოსვლაზე ზოგადად ის შეიძლება ითქვას, რომ მან, როგორც სჩვევია, მძიმედ დაიწყო ტურნირი, შემდგომ კი ძველი ძალით ათამაშდა და აკი მიზანსაც მიაღწია.

მიტო ჟურდობაძე



| ტილბურგი | სექტემბერი 1994 | ელო | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა. გალიამოვა | უკრაინა | 2475 | IV-V | = – | – + | = – | – + | + + | + = | + – | = – |
| ჟ. პენგი | ჩინეთი | 2480 | = + | VI | = = | = = | = = | = = | = – | – – | + = |
| ა. მარიჩი | იუგოსლავია | 2400 | + – | = = | IV-V | – – | = = | = + | – = | + + | = = |
| ჟ. პოლგარი | უნგრეთი | 2550 | = + | = = | + + | I-II | = = | = = | + – | = + | + = |
| ნ. იოსელიანი | საქართველო | 2435 | + – | = = | = = | = = | VII-VIII | = – | = = | = – | + – |
| ქ. არახამია | საქართველო | 2450 | – – | = = | = – | = = | = + | IX | = – | – = | – – |
| მ. ჩიბურდანიძე | საქართველო | 2505 | – = | = + | + = | – + | = = | = + | I-II | + = | + + |
| პ. [illegible]ამლინგი | შვედეთი | 2525 | – + | + + | – – | = – | = + | + = | – = | III | = + |
| კ. ფოიშორი | რუმინეთი | 2405 | = + | – = | = = | – = | – + | + + | – – | = – | VII-VIII |

| ტილბურგი | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | XIII | XIV | XV | XVI |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა. გალიამოვა | 0.5 | 0.5 | 1 | 1 | 2 | 3 | 4 | 4.5 | 4.5 | 5.5 | 5 | 6.5 | 7.[illegible] | 8 | 8 | [illegible] |
| ჟ. პენგი | 1 | 1.5 | 2 | 2.5 | 3 | 3.5 | 4 | 4 | 4.5 | 5.5 | [illegible] | 6.5 | 7 | 7.5 | 7.5 | 7.5 |
| ა. მარიჩი | 1 | 1.5 | 2.5 | 3 | 3 | 3.5 | 4 | 4 | 5 | 5.5 | 5.5 | 6 | 6 | 6.5 | 7.5 | 8 |
| ჟ. პოლგარი | 1 | 1.5 | 2.5 | 3 | 3.5 | 4.5 | 5 | 5.5 | 5.5 | 6.5 | 7 | 8 | [illegible] | 9.5 | 10 | [illegible] |
| ნ. იოსელიანი | 0.5 | 1 | 1.5 | 2.5 | 3.5 | 4 | 4.5 | 5 | 5 | 5.5 | 5.5 | 5.5 | 5.5 | [illegible] | 6.5 | [illegible] |
| ქ. არახამია | 0.5 | 1 | 1 | 1 | 1 | 1.5 | 2 | 2.5 | 3.5 | 3.5 | 4 | 4 | 4 | 4.5 | 4.5 | 5 |
| მ. ჩიბურდანიძე | 0 | 0.5 | 1 | 2 | 3 | 3 | 3.5 | 4.5 | 5.5 | 6 | 7 | 7.5 | 8.5 | 9 | 10 | 10.5 |
| პ. [illegible]ამლინგი | 0 | 0.5 | 1 | 2 | 2 | 2.5 | 2.5 | 3.5 | 3.5 | 3.5 | 4.5 | 5 | 5.5 | [illegible] | 7.5 | 8.5 |
| კ. ფოიშორი | 0 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 1.5 | 1.5 | 2 | 2.5 | 3 | 3.5 | 4 | 5 | [illegible] | 6 | 6 | 7 |

# ამოყვინთავს შევარდენი?

## შევარდენი 0:1 კოლხეთი

თბილისი, „შევარდენის" სტადიონი
VII ტური, 1 ოქტომბერი

შევარდენი 1906: დევაძე, მჭედლიშვილი, დიმიტრიშვილი, მელქაძე, მესტუმრე, ნადირაძე, ხვადაგიანი, ჯიქია, ჯელაძე (ჭოლოკავა 41), ფრიდონაშვილი (ცაავა 46), შუბითიძე

კოლხეთი 1913: გვასალია, ინიაშვილი, კაკაჩია, დანელია, ჯავაშვილი (მაჭავარიანი 30), ლალანიძე, ტორჩინავა, გოროზია, ჯულელი, დარასელია, ბულუხია

გოლი: დარასელია (75)

გაფრთხილება: ბულუხია (86)

მსაჯი: თ. მაჭარაძე

„შევარდენი", სულ ცოტა ხნის წინ გათამაშების ლიდერი რომ გახლდათ, ბოლო ტურების წარუმატებლობამ მეხუთე ადგილზე ჩამოანაცვლა, თუმცა გათამაშების ლიდერებს „დინამოსა" და „ტორპედოს" მხოლოდ ორიოდ ქულით ჩამორჩებოდა. ბოლო ხანს მუდამ მედლების მაძიებელ ფოთელებს კი უხეირო სტარტმა აუტსაიდერთა შორის ამოაყოფინა თავი. ასე რომ, იმდღევანდელ შეხვედრაში ორივე გუნდს პრესტიჟის აღდგენის საშუალებაც ეძლეოდა.

თბილისელები თავიდანვე შეეცადნენ უპირატესობის დაუფლებას, მათ არც ფოთელები ჩამორჩნენ და აკი ერთობ ცოცხალი თამაშიც გა[illegible]ლდა. 20-ე წუთზე თბილისელებმა სახიფა[illegible]ოდ ჩაწოდეს საჯარიმო, მაგრამ ფრიდონაშვილის დარტყმა კარს ასცდა. 23-ე წუთზე მელქაძის სახიფათო საჯარიმო დარტყმა გვასალიამ მოიგერია. უკვე შუა ტაიმისთვის „შევარდენის" უპირატესობას აშკარა ეთქმოდა და სტუმართა კართან სახიფათო მომენტებიც მომრავლდა: დიმიტრიშვილის რეიდი მარჯვენა ფრთიდან, დარტყმა და კვლავ კარგად თამაშობს გვასალია; ჯიქიას ოციოდე მეტრიდან დარტყმული მცირედით სცდება კარს; ნადირაძე რამდენჯერმე სახიფათოდ ურტყამს საჯარიმოს მარცხენა ფრთიდან, სადაც იგი ყველაზე აქტიურად მოქმედებდა. ფოთელთა შორის გამოირჩევა მცველი ბადრი დანელია, „უსაქმოდ" არც მისი წინახაზელი თანაგუნდელები არიან და მათი კონტრშეტევებიც საკმაოდ სახიფათოა — 37-ე წუთზე ლალანიძის დარტყმას დევაძე გაჭირვებით იგერიებს კუთხურზე...

მეორე ტაიმის დასაწყისში ტორჩინავას დარტყმა მცირე მანძილით ასცდა „შევარდენის" კარს. უმატეს თბილისელებმაც: გააქტიურდა ხვიჩა შუბითიძე: ჯერ 58-ე წუთზე დაარტყა სახიფათოდ, ცოტა ხნის შემდეგ კი მისივე დარტყმას ძელს ხვდება; ჭოლოკავას დარტყმებს ფოთელთა მეკარე იგერიებს; ისევ შუბითიძე და კვლავ კარგად თამაშობს გვასალია, რომელიც საუკეთესო იყო ფოთელთა შორის. „შევარდენის" შეტევებმა უკვე სახიფათო ხასიათი მიიღო, სტუმართა გუნდს კი თანდათან დაღლა დაეტყო. მიუხედავად ამისა, ფოთელთა კონტრშეტევები კვლავაც სახიფათოა: 73-ე წუთზე ჩინებულად ითამაშა აკაკი დევაძემ, ორი წუთის შემდეგ კი ვერაფერი მოუხერხა გიორგი დარასელიას შორეულ და უძლიერეს დარტყმას და ანგარიშიც გაიხსნა. თბილისელებმა უფრო გაამწვავეს თამაში, უმატეს იერიშებს და ყველა ღონეც იხმარეს ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ მათი შეტევები ერთობ უსისტემო იყო. გუნდის შემხედვარეს თვალში გეცემოდათ ჩვენი ფეხბურთისთვის დამახასიათებელი ნაკლი — უბურთოდ თამაშის უუნარობა.

საბოლოოდ, „შევარდენმა" ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია შინ (წინა თამაში თასზე წააგო ზუგდიდთან) და ჩემპიონატის დასაწყისში მოპოვებული ქულათა მარაგი რომ არა, სატურნირო ცხრილში კაიხელაზე ჩაყვინთვა მოუწევდა.

ვასიკო კალანდაძე

# ექვსი გაუტანეს, ექვსიც აჩუქეს...

## გურია 0:6 დინამო

ლანჩხუთი. ცენტრალური სტადიონი 600 მაყურებელი. VII ტური, 1 ოქტომბერი

გურია: ბერაძე, ნარიაშვილი (სიხარულიძე 61), ხართიშვილი, რუხაძე, ლორია, გამცემლიძე, კვინტრაძე (ბურდული 68), რეხვიაშვილი, გოგოლაძე, ყულეჯიშვილი, კანტიძე

დინამო: ჩხეიძე, ნემსაძე (ტრაპაიძე 66), ხუჯაძე, შელია (მაზიაშვილი 64), დიდავა, ცქიტიშვილი, ა.არველაძე, კიკნაძე, დემეტრაძე, ქინქლაძე, შ.არველაძე.

0:1, 0:2 შ. არველაძე (16, 24), 0:3 დემეტრაძე (51), 0:4 შ. არველაძე (63), 0:5, 0:6 ა. არველაძე (69, 71)

მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

ტრავმის, ავადმყოფობის და სხვა გასაგებ მიზეზთა გამო დინამოელებს ბევრი ძირითადი მოთამაშე აკლდათ: რეზო არველაძე, ჯამარაული, რევიშვილი, ყაველაშვილი, ლობჟანიძე, ინალიშვილი... ლანჩხუთელებმა კი გაფრთხილებულ-გაძევებულნი — ბუცურეიშვილი და თევზაძე მოისაკლისეს.

ინსბრუკის მერე, შეშინებულს, თვალი უნებლიეთ დინამოელთა დაცვისაკენ გამირბის, თუმცა, მერე და მერე, „შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე" უფრო „გლობალურ პრობლემებზე" ფიქრისათვისაც ვიცლი: ავსტრიაში გამიძლიერდა და ლანჩხუთში საბოლოოდ ჩამომიყალიბდა აზრი, რომ საქართველოსთვის დამღუპველია არათუ თექვსმეტგუნდიანი, თოთხმეტგუნდიანი ჩემპიონატიც კი... უკეთეს გამოსავლად ავსტრასავით ათგუნდიანი ოთხ[illegible]იანი ჩემპიონატი მეგულება. დინამოელებმა ხომ ისე გაიტანეს ექვსი ბურთი, ფაქტიურად, ვერავინ შეძლო მათთვის ხელის შეშლა. სწორედ ასეთი თამაშები უწევს თბილისელებს დათვურ სამსახურს. ხერიანად არც გავოფლიანებულვართო, მითხრა ზოგიერთმა ფეხბურთელმა მატჩის შემდეგ.

პირადად ჩემთვის ამ მატჩში ყველაზე სასიამოვნო ახალგაზრდა დინამოელთა აქტიური და თავდაჯერებული თამაში იყო. ნოდიამ ამ დღეს შვიდი ახალგაზრდა გამოიყვანა (არველაძეებს და ქინქლაძეს უკვე „ვეტერანებად" ვთვლი), მათ შორის კი გამოირჩეოდა გიორგი დემეტრაძე, რომელმაც გარდა ამისა, რომ დებიუტის მატჩში გოლი გაიტანა, მარჯვენა ფლანგზე აქტურობით და, ასეც ვიტყოდი, თავხედური შეტევებით ისიც მაფიქრებინა, რომ მალე „დინამოს" მესხის, მეტრეველის და გუცაევის კვალის გამგრძელებელი შეემატება, თუ როგორი, ეს თავად დემეტაძეზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, იგი ახლახან ოლიმპიურ ნაკრებშიც მიიწვია შოთა ჭეიშვილმა (გიორგი 18 წლიანთა ნაკრებშიც თამაშობს).

ტყუპებმა ხუთი გოლი გამიტანეს, შოთას „ჰეთ-თრიქს" არჩილის დუბლიც შეემატა. არჩილს მესამე გოლიც რომ გაეტანა, პირველ ფეხბურთელი გახდებოდა საქართველოში, ვინც ზედიზედ სამ მატჩში „ჰეთ-თრიქს" ჩაიწერდა. ნაკრების წევრთა თამაშით ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელი ვლადიმერ პანოვიც კმაყოფილი დარჩა.

დინამოელებმა ლანჩხუთელებს ხელიც გაუმართეს და თბილისიდან წამოღებული ექვსი ახალთახალი ბურთიც აჩუქეს.

მამუკა კვარაცხელია
ლანჩხუთი — თბილისი

ლანჩხუთში, „გურია" — „დინამოს" თამაშზე ჩასვლისთანავე სტადიონს მივაშურე და ელდა მეცა: თამაშამდე მცირე დროღა რჩებოდა, მინდორზე კი ბალახი ისევ გასათიბი იყო. არც სტადიონისთვის თვალის გადავლებას დაუყრია ჩემთვის კარგი დღე: ჟანგისგან ყველაფერი ისე იყო შეჭმული, გული მომიკვდა. გამახსენდა რამდენიმე წლის წინ ხალხით სავსე, ლანჩხუთის კოხტა სტადიონი... მოთამაშეთა დაღლილ, მშიერ (?!) სახეებს რომ შევხედე, ყველაფერს მივხვდი...

— ორი დღეა, არ გვიჭამია, ორიოდე პურით ლტოლვილებმა მოგვიკითხესო — მითხრა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა...

მატჩის შემდეგ გუნდის მწვრთნელს გიგლა იმნაძეს და რაიონის გამგებლობის ერთ-ერთი განყოფილების უფროსს, გოგი ხელაძეს გავესაუბრე.

გიგლა იმნაძე: ასეთ პირობებში გუნდის მომზადება შეუძლებელია. წყალი არ არის, შუქი არ არის, საჭმელი არ არის, აქ კიდევ კარგ დღეშია მოედანი, გრიგო-

# გურია დიეტაზე?!

ლეთის ბაზაზე მუხლებამდე ბალახია. სამად-სამი ბურთი გვაქვს სავარჯიშოდ. დღეს რომ დინამოელებს ექვსი ბურთი არ ეჩუქებინათ, აზრი აღარ ექნებოდა აღარაფერს. რაც თავი მახსოვს, ლანჩხუთში ასე არ გაგვჭირვებია. შარშანდელი ამბები მონაგონია დღევანდელთან. არადა, კარგი ბიჭები გვყავს, მათი ძალიან კმაყოფილი ვარ, ამ გუნდით მართლაც შეიძლება მაღალ მიზნებზე ფიქრი, მაგრამ რად გინდა... მშივრები როგორ ვავარჯიშო ან ვათამაშო?! სეზონის წინ იმას ვგეგმავდი, არ გავვარდეთ-მეთქი. სტადიონი, თავადაც ხედავთ, რა დღეშია. გული მიკვდება, ამას რომ ვუყურებ. არადა, ბევრი არაფერი გვინდა — საჭმელი და ფორმა გვაქვს სანატრელი. მოკლედ არ ვიცი რა გვეშველება...

გოგი ხელაძე: ორი დღის წინ ახალი გამგებელი დაინიშნა — თეიმურაზ გუგუნავა. გამგებლობის [illegible] გუნდის პატრონობის საკითხიც [illegible] — სპონსორი მოიძებნა, თუმცა [illegible] რობით ვერ [illegible]. გარდა ამისა, ყველა აგროფირმას დაევალა, თავისი წილი გაიღოს გუნდის გადასარჩენად. დღევანდელი მატჩის შემდეგ, შეპირებისამებრ ფეხბურთელებს გასამრჯელოს ნაწილი დავურიგეთ. უახლოეს მომავალში ვფიქრობთ ვითარების გამოსწორებას. ამ დღეებშივე გუნდს გრიგოლეთის ბაზაზე შეკრებაზე გადავიყვანთ. ბაზას კოსმეტიკური შელამაზებაღა აკლია და ყველაფერი წესრიგში იქნება: არ გვეკადრება ლანჩხუთელებს, ყველაფერს რომ ხაზი გადავუსვათ და გუნდი უპატრონოდ მივაგდოთ...

მამუკა კვარაცხელია
ლანჩხუთი — თბილისი

საქართველოს ჩემპიონატი

VII ტური, 1 ოქტომბერი

## ივერია 2:0 საპოვნელა

ივერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, სამხარაძე, ნოზაძე, ლურსმანაშვილი, ტყემალაძე (ნარმანია 83), გაგუა (ვეშაპიძე 46), ჩადუნელი, მარლიშვილი, ქობელაშვილი, ნიკლაური

საპოვნელა: თევზაძე, ბოჭორიშვილი, გენაძე, ჭულუხაძე, ხვარეშია (ჩინჩალაძე 65), უკლება, ჯულელი (ბუნტური 63), ქურცაძე, გოდერძიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა

1:0 ჩადუნელი (56), 2:0 ქობელაშვილი (86)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

## ბათუმი 1:0 ტორპედო

ბათუმი: მალაყმაძე, ი. მახარაძე, ფუტკარაძე (ტულუში 73), სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მუჯირი, ღლონტი, უჯმაჯურიძე, ამბიძე (ბერიძე 83)

ტორპედო: ხელაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ბზიკაძე, ვოსკანოვი, ნოზაძე, სუხიაშვილი, ხუნდაძე, მეგრელაძე, მალლაკელიძე, გიორგობიანი (კვეტენაძე 77)

1:0 უჯმაჯურიძე (41)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

## მარგვეთი 0:1 კახეთი

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ბებიაშვილი, ტონია, ლანჩავა, ლონლაძე, აფციაური, გაბრიჭიძე, კაციაშვილი, სულაკაძე, ენდელაძე, ფოცხვერაშვილი

კახეთი: გვარამაძე, შალამბერიძე, კაციტაძე, სანადირაძე, სოლოღაშვილი, სეფაშვილი, ლუდუშაური, კანდელაკი, კალუჟა, დოლიძე (ბაკურაძე), შონია

0:1 ლუდუშაური (89)

გაფრთხილება: გაბრიჭიძე, ლუდუშაური

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

## მეტალურგი 3:1 ზუგდიდი

მეტალურგი: კოროშინაძე, ფოფხაძე, ბურნაძე, ყაველაშვილი, ტარტარაშვილი, ვ. კილასონია, ამბიძე, გ. კილასონია (გაფრინდაშვილი 3), პერტია (კობიაშვილი 65), ზირაქიშვილი, გახოკიძე

ზუგდიდი: ჭანტურია, ახვლედიანი, ძალამიძე, თუთბერიძე, მიქაძე, ჯურხანძე, ნ. კაკუბავა, დ. კაკუბავა, დარასელია, გაბედავა, გუგუჩია (ნიტაიშვილი 46, კუტალია 80)

1:0 ზირაქიშვილი (30), 2:0 ზირაქიშვილი (43), 3:0 ვ. კილასონია (72), 3:1 დარასელია (90 პ)

გაფრთხილება: ჯურხანძე

გაძევება: ჯურხანძე (3)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

## სამტრედია 6:2 დურუჯი

„სამგურალი" არ ჩავიდა გორში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 6 | 5 | 1 | 0 | 31-8 | 16 |
| ბათუმი | 7 | 5 | 0 | 2 | 19-9 | 15 |
| სამტრედია | 6 | 4 | 1 | 1 | 18-6 | 13 |
| მეტალურგი | 7 | 4 | 1 | 2 | 10-4 | 13 |
| ტორპედო | 7 | 4 | 1 | 2 | 9-8 | 13 |
| კოლხეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 14-9 | 12 |
| გურია | 7 | 3 | 2 | 2 | 14-14 | 11 |
| შევარდენი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-11 | 11 |
| ზუგდიდი | 7 | 2 | 2 | 3 | 14-13 | 8 |
| კახეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 5-12 | 8 |
| მარგვეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 4-12 | 8 |
| დილა | 6 | 2 | 1 | 3 | 2-7 | 7 |
| ივერია | 7 | 2 | 1 | 4 | 7-9 | 7 |
| დურუჯი | 7 | 2 | 0 | 5 | 9-24 | 6 |
| საპოვნელა | 7 | 1 | 1 | 5 | 6-18 | 4 |
| სამგურალი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-17 | 1 |

საქართველოს თასი

მეთექვსმეტედფინალი. 28 (14) სექტემბერი

სამტრედია — კოლხეთი 1913 2:0 (0:1)

# ახალგამომცხვარი კაპიტანი

არ არსებობს უცხოელი მწვრთნელი, ქინქლაძე საქმეში ნახოს და თავის გუნდში გადაბირება არ მოისურვოს. „ტიროლთან" მარცხის შემდეგაც კი, ვისაც არ ვესაუბრე, ავსტრიელს თუ ქართველს, ქინქლაძე ყველამ საგანგებოდ აღნიშნა. ეს ბიჭი ალბათ არც ავსტრიელთაგან საუკეთესოს, შტიოგერს დაავიწყდება, ქინქლაძის ცრუ მოძრაობას აყოლილი ამხელა კაცი პატარა ბავშვივით აქეთ-იქით რომ დაცუნდრუკობდა. „გურიასთან" მატჩის შემდეგ დინამოელთა ახალგამომცხვარ კაპიტანს ლანჩხუთი — თბილისის გზაზე ვესაუბრე.

— ყველა დინამოელთან საუბარს ინსბრუკის მატჩით ვიწყებ და ვამთავრებ...

— შელია, რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, მოვიგებდით.

მგზავრობამ ძალიან დაგვქანცა და კალაპოტიდან ამოგვაგდო. ალბათ სხვა ტაქტიკით უნდა გვეთამაშა. ვერც საგოლე მომენტები გამოვიყენეთ დასაწყისში, ჩვევად გვქცა კარში ბურთიანად შესვლის მცდელობა.

წვიმამ ხომ ყველანი რატომღაც ძალიან შეგვაშფოთა, დღემდე ვერ ამიხსნია, რამ შეგვაშინა. ავდარში ხომ აქამდეც ბევრჯერ გვითამაშია. არც ასეთი შეშფოთებული ზოიძე მინახავს აქამდე, მეგონა, ირაკლი არასოდეს აღელდება-მეთქი.

მსაჯმაც ხომ ხელი მოგვითავა: 0:3-ს ვაგებთ, ჯარიმას ვურტყამ, ცხრის მაგივრად ხუთ მეტრში დგას ავსტრიელი, მსაჯს ვაიშნე გასწიე-მეთქი, ის კი ყვითელს მაძლევს, დრო გაგვყავსო. წარმოგიდგენია 0:3-ზე დროის გაყვანა?

თამაში რომ დამთავრდა, ყველანი სიმწრისაგან ვტიროდით. თბილისში დაბრუნება აღარ გვინდოდა, რა პირით უნდა შეგვეხედა ჩვენი გულშემატკივრებისთვის?

არ იყო „ტიროლი" ის გუნდი, ვისთანაც 1:5 უნდა წაგვეგო.

— ახლა თუ გამოხვედით ფსქოლოგიური სტრესიდან?

— ხალხი ის[illegible] დაგვხვდა და მოგვეფერა, ყველაფერი დაგვავიწყა. თამაშს შინ ტელევიზორში ვუყურე მეგობრებთან ერთად. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში იმას მეკითხებოდნენ, თქვენ იტანთ გოლს თუ ისინიო. მეც კარგად რომ დავაკვირდი, მიუხედავად ამდენი შეცდომებისა, პირველ ტაიმში თუ არ ვჯობდით, ბევრით არაფრით ჩამოვუვარდებოდით ავსტრიელებს. ისინი პროფესიონალიზმმა გაიყვანა შემდეგ წრეში. ეს წაგება კარგი ჭკუის სასწავლებელი იქნება ჩვენთვის. საკუთარი ავიც და კარგიც სულ სხვა თვალით დაგვანახა.

— წელან გულშემატკივართა სითბო ახსენე...

— ასე მგონია, ჩვენნაირი გულშემატკივარი არავის ჰყავს. განა არ შეუძლიათ ბილეთი იყიდონ, მაგრამ მაინც ჩემთან მოდიან, გვიშოვეო. საიმოვნებთ, მე რომ დავუპატიჟებ მათთვის. ჩემს მიერ ნაშოვნ ბილეთს მათთვის სხვა ფასი აქვს. მე პირადად ქართველი გულშემატკივრებისადმი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ამასწინათ ავად რომ გავხდი, მამაჩემი წამლებზე დარბოდა. იცნეს გულშემატკივრებმა და დაფაცურდნენ, წამლები აშოვნინეს, თან გადაყვნენ.

— მამაშენი, რობინზონ ქინქლაძე შენი პირველი მწვრთნელი და გულშემატკივრებში საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. როგორ გადაიტანა წაგება?

— მკვდარი იყო კაცი, ხმა ვერ ამოვალებინე...

— შოთას გოლმა იმედი მოგცათ, თუ უკვე არაფრის შეცვლა აღარ შეიძლებოდა?

— რას ამბობ, შოთას გოლის მერე შენ ავსტრიელთა დაბნეული, შეშინებული და გაოგნებული სახეები უნდა გენახა. ამ გოლმა იმხელა იმედი ჩამისახა, როდესაც მეოთხე გოლი შეგვიგდეს, მაშინაც კი დარწმუნებული ვყავი, რომ კიდევ გავიტანდით. მოედანზევე ვფიქრობდი, არა გვაქვს წაგების უფლება, ჩვენ რომ წავაგოთ, ხალხს რას ვეტყვით, ალბათ მიგვატოვებენ



და აღარ მოვლენ სტადიონზე-მეთქი. ყველანი ასე ვფიქრობდით.

— რამდენადაც ვიცი, გუცაევმა სიტყვა ჩამოგიგდო ვლადიკავკაზის „სპარტაკში" გადასვლაზე.

— ვიცი, იქ ერთ სეზონზე მეტს არ ვითამაშებ და გაზაფხული საზღვარგარეთ გამიშვებს, მაგრამ თუ წასვლაა, თბილისიდანვე წავალ. საერთოდ, როგორც მერაბ ჟორდანია გადაწყვეტს, ისე მოვიქცევი.

— ინსბრუკის მერე ლანჩხუთში თამაშისას ალბათ მეათედი ძალა არ დაგიხარჯავს. ტრიბუნიდან ასე ჩანდა...

— დასამალი არ არის, ნამდვილად ასე იყო. წვიმსაფარი არც კი მკეთებია, ხეირიანად არც კი დავღლილვარ. ასეთი მატჩები თუ გვექნა, მშვიდობით, უკან-უკან წავა ჩვენი ოსტატობის საქმე. ზრდაზე ფიქრი ხომ ზედმეტია.

— რამდენიმე დღეში ბულგარეთი გელით...

— მთავარია, ფსიქოლოგიური სტრესიდან გამოვდივართ. „სამტრედიასთან" მატჩის შემდეგ, ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება. მერე შეკრებაზე გადავალთ და მთელ ძალას ბულგარელებთან მატჩისკენ მივმართავთ. თუ მოინდომებ და ყველაფერს დადებ, შეუძლებელი არაფერია.

მამუკა კვარაცხელია

# კლუბი «მესეფი»

სპორტის მოყვარულთა განკარგულებაშია

# ტოტალიზატორი "CROCO"

უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| | ინგლისის ჩემპიონატი. IX ტური | | | |
| 8 ოქტომბერი | მანჩესტერ სიტი — ნოტინგემი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| | ჩელსი — ლესტერი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | ნორვიჩი — ლიდსი | 1,7 | 2,6 | 3,1 |
| | ქოვენთრი — იფსვიჩი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| | უიმბლდონი — არსენალი | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| | ლივერპული — ასტონ ვილა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | შეფილდი — მანჩესტერ იუნ. | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| | ტოტენჰემი — ქუინზ პარკი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| | საუთჰემპტონი — ევერტონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 9 ოქტომბერი | ნიუკასლი — ბლექბერნი | 1,3 | 2,6 | 6,5 |
| 10 ოქტომბერი | ვესტ ჰემი — კრისტალ პალასი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| | გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური | | | |
| 5 ოქტომბერი | კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| 7 ოქტომბერი | მიონხენგლადბახი — ლევერკუზენი | 2,0 | 2,4 | 2,6 |
| | აინტრახტი — კარლსრუე | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| 8 ოქტომბერი | დუისბურგი — ფრაიბურგი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| | შტუტგარტი — ურდინგენი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | დორტმუნდი — შალკე | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | კიოლნი — დინამო | 1,3 | 2,6 | 6,5 |
| 9 ოქტომბერი | მიუნხენ 1860 — ვერდერი | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| | ჰამბურგი — ბოხუმი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | ესპანეთის ჩემპიონატი. VI ტური | | | |
| 8-9 ოქტომბერი | სოსიედადი — სევილია | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| | ოვიედო — ტენერიფე | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| | ვალიადოლიდი — ვალენსია | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| | ბარსელონა — ატლეტიკო | 1,2 | 2,8 | 8,0 |
| | ლა კორუნია — სარაგოსა | 1,3 | 2,7 | 6,0 |
| | ალბასეტე — ბილბაო | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| | სელტა — კომპოსტელა | 1,2 | 2,8 | 8,0 |
| | ლოგრონიესი — სპორტინგი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| | ბეტისი — ესპანიოლი | 1,6 | 2,5 | 3,8 |
| | რეალი — რასინგი | 1,1 | 3,0 | 10,0 |

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გერმანია

VII ტური. 29 სექტემბერი — 2 ოქტომბერი. ბოხუმი — დუისბურგი 1:0, დინამო — მიუნხენ 1860 1:1, ბაიერნი — კიოლნი 2:2, კარლსრუე — კაიზერსლაუტერნი 3:3, შალკე — აინტრახტი 0:0, ურდინგენი — დორტმუნდი 0:2, ლევერკუზენი — შტუტგარტი 3:1, ფრაიბურგი — მიონხენგლადბახი 1:1. ვერდერი — ჰამბურგი გაიმართება 6 ოქტომბერს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 7 | 5 | 1 | 1 | 22-8 | 11 |
| ვერდერი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-4 | 11 |
| კარლსრუე | 7 | 4 | 2 | 1 | 19-13 | 10 |
| ბაიერნი | 7 | 4 | 2 | 1 | 16-10 | 10 |
| კაიზერსლაუტ. | 7 | 4 | 2 | 1 | 15-10 | 10 |
| ლევერკუზენი | 7 | 3 | 2 | 2 | 15-9 | 8 |
| ფრაიბურგი | 7 | 3 | 2 | 2 | 14-11 | 8 |
| ჰამბურგი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-5 | 8 |
| გლადბახი | 7 | 2 | 3 | 2 | 13-9 | 7 |
| შალკე | 7 | 2 | 3 | 2 | 8-8 | 7 |
| შტუტგარტი | 7 | 3 | 1 | 3 | 13-15 | 7 |
| ურდინგენი | 7 | 1 | 3 | 3 | 6-9 | 5 |
| კიოლნი | 7 | 1 | 3 | 3 | 11-17 | 5 |
| აინტრახტი | 7 | 1 | 3 | 3 | 6-13 | 5 |
| დინამო | 7 | 1 | 2 | 4 | 8-13 | 4 |
| ბოხუმი | 7 | 2 | 0 | 5 | 7-19 | 4 |
| დუისბურგი | 7 | 0 | 2 | 5 | 6-17 | 2 |
| ტსვ მიუნხენი | 7 | 0 | 2 | 5 | 4-15 | 2 |

## ესპანეთი

V ტური. 1-2 ოქტომბერი. ატლეტიკო — ვალიადოლიდი 6:0, ვალენსია — ოვიედო 1:0, სარაგოსა — ბარსელონა 2:1, ტენერიფე — სოსიედადი 3:0, კომპოსტელა — ლა კორუნია 0:1, ესპანიოლი — სელტა 0:0, რასინგი — ბეტისი 0:0, სპორტინგი — რეალი 1:0, ატლეტიკი — ლოგრონიესი 1:0, სევილია — ალბასეტე 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლა კორუნია | 5 | 4 | 1 | 0 | 8-3 | 9 |
| ვალენსია | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 8 |
| რეალი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-3 | 7 |
| ესპანიოლი | 5 | 2 | 3 | 0 | 9-3 | 7 |
| სარაგოსა | 5 | 3 | 1 | 1 | 8-7 | 7 |
| ბეტისი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-2 | 6 |
| ტენერიფე | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 6 |
| სელტა | 5 | 1 | 4 | 0 | 4-3 | 6 |
| ბარსელონა | 5 | 2 | 1 | 2 | 8-5 | 5 |
| ალბასეტე | 5 | 1 | 3 | 1 | 6-7 | 5 |
| სევილია | 5 | 2 | 1 | 2 | 3-6 | 5 |
| სპორტინგი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-8 | 5 |
| ატლეტიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-7 | 5 |
| ატლეტიკო | 5 | 2 | 0 | 3 | 10-7 | 4 |
| ოვიედო | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 3 |
| კომპოსტელა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-9 | 3 |
| ვალიადოლიდი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-11 | 3 |
| რასინგი | 5 | 0 | 2 | 3 | 3-6 | 2 |
| ლოგრონიესი | 5 | 0 | 2 | 3 | 1-5 | 2 |
| სოსიედადი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 2 |

## იტალია

V ტური. 2 ოქტომბერი. კრემონეზე — ფოჯა 1:3, ნაპოლი — პადოვა 3:3, ჯენოა — რეჯანა 3:1, მილანი — ბრეშია 1:0, ბარი — კალიარი 0:0, ფიორენტინა — ლაციო 1:1, პარმა — ტორინო 2:0, რომა — სამპდორია 1:0, იუვენტუსი—ინტერი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარმა | 5 | 4 | 1 | 0 | 11-3 | 13 |
| რომა | 5 | 4 | 1 | 0 | 10-2 | 13 |
| იუვენტუსი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-1 | 11 |
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-3 | 10 |
| ლაციო | 5 | 2 | 2 | 1 | 8-5 | 8 |
| ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| ფოჯა | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 |
| ფიორენტინა | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| სამპდორია | 5 | 2 | 1 | 2 | 8-3 | 7 |
| ბარი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-3 | 7 |
| კრემონეზე | 5 | 2 | 0 | 3 | 5-8 | 6 |
| ტორინო | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6 |
| კალიარი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| ნაპოლი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-10 | 5 |
| ჯენოა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-9 | 5 |
| ბრეშია | 5 | 0 | 2 | 3 | 2-7 | 2 |
| პადოვა | 5 | 0 | 1 | 4 | 3-15 | 1 |
| რეჯანა | 5 | 0 | 0 | 5 | 2-11 | 0 |

### BEAU (1) MONDE

„სარბიელისა" და მისი მკითხველების ახლო ურთიერთობის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ჩვენი სარედაქციო ტელეფონი, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე „მოუცლელი" აპარატია ქალაქში. ამის თქმა იმიტომ დაგვჭირდა, რომ დღეიდან განვახლებთ თანამედროვე ფეხბურთის ვარსკვლავების შესახებ წერილების გამოქვეყნებას და ეს სწორედ მკითხველთა თხოვნით კეთდება. გახსოვთ, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში რუბრიკით „PERSONA GRATA" უკვე გაგაცანით თომას ბროლინი, ბებეტო, იურგენ კლინსმანი, შტეფან ეფენბერგი, ტონი მეოლა, ადრიან კნუპი, გაბრიელ ბატისტუტა, დანიელ ამოკაში, გეორგე ჰაჯი, ხორხე კამპოსი, ფილიპ ალბერი და მარტინ დალინი. დღეიდან რუბრიკას ახალი სახელი ჰქვია — BEAU MONDE — „ბომონდი" რაც ფრანგულად მაღალ საზოგადოებას ნიშნავს.

პირველ წერილში გადავწყვიტეთ წარმოგიდგინოთ ფინელი იარი ლიტმანენი, ვისი სახელიც აგერ უკვე წელიწადზე მეტია „ქუხს" და ვისი გოლების წყალობითაც „აიაქსმა" ჯერ სუპერ-„მილანი", შემდეგ კი ათენის ა.ე.კ.-ი დაამარცხა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში.




## იარი ლიტმანენი

დაიბადა 1971 წლის 20 თებერვალს
კარიერა: „რეიპასი" ლაჰტი, ჰ.ი.კ. ჰელსინკი, მიუპა, „აიაქსი" ამსტერდამი
დებიუტი ფინეთის ნაკრებში: 29.10.1989. ტრინიდადი და ტობაგო 1:0
ფინეთის თასის მფლობელი — 1992
ჰოლანდიის ჩემპიონი — 1994
ჰოლანდიის თასის მფლობელი — 1993

# ფინეთში, ეტყობა, ბნელა

იარი ლიტმანენი ევროპის ამომავალ ვარსკვლავთა შორის, აშკარად ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშაა, მაგრამ მის ბრწყინვალებას ფინეთში ვერავინ ამჩნევს. ლიტმანენის სამშობლოში ვარსკვლავებად ჰოკეისტებსა და მოთხილამურეებს მიიჩნევენ, ფეხბურთელებს კი, ნურას უკაცრავად.

1992 წელს, როდესაც ლიტმანენმა ამსტერდამის „აიაქსთან" დადო კონტრაქტი, ნათელი იყო, რომ დენის ბერხკამპი მას დაჩრდილავდა. ერთი წლის შემდეგ სურათი შეიცვალა. სანამ ბერხკამპი მილანის „ინტერში" იქაურ სტილს ეგუებოდა, ლიტმანენმა „აიაქსის" ყველა პრინციპულ მატჩში გოლი შეაგდო და ჰოლანდიის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. დღეს კითხვაზე, ვინ არის ყველა დროის საუკეთესო ფინელი ფეხბურთელი, პასუხი ცალსახაა — ლიტმანენი. ვის უნდა შევადაროთ იგი? შესადარებელი ცოტაა: პეტრი ტიაინენი, რომელმაც თავის დროზე ასევე „აიაქსში" სცადა ბედი, მაგრამ მუხლი დაიშავა და სარბიელს ჩამოშორდა, მარკო მუურუ — ბელგიის „ლოკერენის" ყოფილი მოთამაშე, არი ჰიელმი — გერმანიის მეორე ბუნდესლიგის კლუბ „ზანქტ პაულის" ახლანდელი წევრი და აბერდინელი მატი პაატელაინენი. ამ ხალხის გვერდით, შვედეთის გუნდებში მოასპარეზე ფინელები სახსენებელნიც არ არიან, თავად ფინეთში კი საფეხბურთო კულტურა უბრალოდ არ არსებობს. ამგვარად, საუკეთესო ფინელი ფეხბურთელი ის არის, ვინც საზღვარგარეთ სხვებზე მეტად ისახელა თავი, ასეთი კი ლიტმანენია.

მისი თამაშის შემყურეს, გაგიკვირდება, რატომ გაუჭირდა ფინელს ხეირიანი კონტრაქტის იმთავითვე დადება. ლიტმანენს პროფესიონალობა ეწერა და ასეთი ბედი მამამისმა განუსაზღვრა. მამამისი, ოლავი, ფინეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, ფეხბურთს თანამემამულეებისგან განსხვავებით სხვა თვალით უყურებდა და შვილმა ფეხი აიდგა თუ არა, იგი თავის მეგობარს, ლაჰტის კლუბ „რეიპასის" მწვრთნელს ჰარი კამპმანს მიაბარა. თხუთმეტ წლამდე იარი ერთნაირი წარმატებით თამაშობდა ფეხბურთსაც და ჰოკეისაც, მაგრამ აქ არჩევანის დრო მოვიდა და... 1987 წლის 3 მაისს ანუ 16 წლის ასაკში შედგა მისი დებიუტი ფინეთის საფეხბურთო ჩემპიონატში. სწორედ პირველი მწვრთნელის კამპმანის დამსახურებაა, რომ იარი დროდადრო წვრთნას ცნობილ კლუბებში — ბელგიის „გენკში", შვედეთის „გიოტებორგში", შვეიცარიის „ქსამაქსში", ჰოლანდიის პსვ-ში, ესპანეთის „ბარსელონასა" და ინგლისის „ლიდს იუნაიტედში" გადიოდა, ოღონდ როგორც კი მამის მეგობარი კლუბებს სიტყვას კონტრაქტზე ჩამოუგდებდა, მას უარით ისტუმრებდნენ. მიზეზი: ლიტმანენი ფინელია. ერთადერთმა „გიოტებორგმა" შეიბერტყა ყური: თუ მიუპა 47 „მიკოსკენი" (ფინური კლუბი, რომლის წევრიც ლიტმანენი იყო) ფეხბურთელს უფულოდ დამითმობს, ჯანდაბას თქვენი თავი, ავიყვანო. ცხადია, ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა.

გავიდა ერთი სეზონი. იარი ფინეთში ჯახირობდა და განაწყენებული უცხოეთისაკენ გახედვას აღარც აპირებდა, როდესაც „აიაქსმა" დაუძახა. ფეხბურთელმა ცოტა იყოყმანა, მაგრამ მაინც სულმა წასძლია და ამსტერდამს გაეშურა. ჰოლანდიური გუნდის მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა, რომელიც ტალანტების აღმოჩენით არის ცნობილი, მხოლოდ სამი დღე უყურა ფინელს და ხელად კონტრაქტი გაუფორმა. ვან გაალმა კარგად უწყოდა, რომ დენის ბერხკამპი ერთ წელიწადში „ინტერში" გადავიდოდა და ახალი ფორვარდი დასჭირდებოდა. გამოცდილმა მწვრთნელმა უმალ იგრძნო, რომ მის წინაშე ამომავალი ვარსკვლავი იდგა.

„1992-93 წლების სეზონში, როდესაც ჩემს პოზიციაზე თამაშობდნენ ბერხკამპი და პეტერსონი, მე თორმეტამდე მატჩში მივიღე მონაწილეობა. ძირითადად ნიჭიერ შემცვლელად მთვლიდნენ. იმ პერიოდში ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ საკუთარ ნაკლსაც ვხედავდი. მაშინ ვან გაალმა მითხრა, რომ მოთმინება მჭირდებოდა, რათა „აიაქსის" სტილს შევგუებოდი — ეს გუნდი ხომ სამი თავდამსხმელით თამაშობს, რაც თანამედროვე ფეხბურთში უნიკალური შემთხვევაა".

მომდევნო სეზონში ლიტმანენმა ბერხკამპი შეცვალა, თანაც ისე, რომ გულშემატკივარს ამ ცვლილებაზე გული არ დაწყვეტია. ბევრმა მათი შედარება დაიწყო. შედარება თვით ლიტმანენსაც სთხოვეს: „ბერხკამპს „აიაქსში" წარმოუდგენელი გოლები აქვს გატანილი, მე ამას ვერ ვახერხებ და თანაგუნდელთა თამაშზე მეტად ვარ დამოკიდებული" — უპასუხა მან.

ლიტმანენისთვის ლიდერობა არავის უსწავლებია, იგი ასეთად დაიბადა. თავისუფალ დროს კი, როდესაც მისი თანაგუნდელები ბილიარდს და ბანქოს ეძალებიან, იგი წიგნებს კითხულობს.

ილია ბაბუნაშვილი

შემდეგ „ბომონდში": რონალდო (ბრაზილია, „ეინდჰოვენი")



# აქედან და... დევისის თასამდე



ვლადიმერ მარგალიტაძე
დაიბადა 1976 წლის 18 დეკემბერს
სიმაღლე 185 სმ, წონა 66 კგ.
ვარჯიში დაიწყო 7 წლისამ თეიმურაზ კაკულიასთან
წელს გაიმარჯვა საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც
მონაწილეობა აქვს მიღებული აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, ისრაელში, თურქეთში, პოლონეთში გამართულ ტურნირებში.

სექტემბერ-ოქტომბრის მიჯნა თბილისელი ჩოგბურთელებისთვის ერთობ დატვირთული გამოდგა. ჯერ იყო სპორტკლუბ „ცეზარის" ღია პირველობა, შემდეგ საქართველოს ჩემპიონატი, დღეს კი იწყება უმცროსთა ტურნირი ალექსანდრე მეტრეველის პრიზზე.

„ცეზარის" პირველობაზე გოგონებში ყველას აჯობა ნატო კაჭკაჭიშვილმა, უმცროსი ასაკის ვაჟებში იმარჯვა ირაკლი უშანგიშვილმა, უფროსებში — ვლადიმერ მარგალიტაძემ.

ჩემპიონატი კი ჯერ მხოლოდ ვაჟებმა დაასრულეს, რადგან ქალთაგან რამდენიმე უძლიერესს უცხოეთის ტურნირებიდან ჩამოსვლა დააგვიანდა. ასპარეზობაში 24 ჩოგბურთელი ჩაება. არ იყვნენ ვლადიმერ გაბრიჩიძე, დავით კაჭარავა და ერთ-ერთი უძლიერესთაგანი ლევან გელაშვილი, რომელსაც ფეხის ტრავმა აწუხებს.

მეოთხედფინალამდე მონაწილენი ოლიმპიური სისტემით მივიდნენ, მერე კი რვა საუკეთესომ ორ ქვეჯგუფში გააგრძელა ბრძოლა. პირველში მოხვდნენ მარგალიტაძე, სოსო სიამაშვილი, გიგი კიკალეიშვილი და უმცროსი ალექსანდრე მეტრეველი. მოულოდნელი არაფერი მომხდარა და ადგილებიც ამ თანმიმდევრობით განაწილდა. აღსანიშნავია, რომ მარგალიტაძემ სამივე მეტოქე ორ-ორ სეტში, მშრალი ანგარიშით დაამარცხა.

მეორე ქვეჯგუფში უფრო ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა. ფინალში გასვლის თანაბარი შანსი ჰქონდათ შარშანდელ ჩემპიონს დავით გოგილაშვილს, ანატოლი ახალაძეს და ირაკლი კუნჭულიას. ყველას კუნჭულიამ აჯობა — მასაც ორ-ორი სეტი ეყო კონკურენტების ჩამოსაცილებლად. მეოთხე იყო ბუბა ეძგვერაძე.

ამრიგად, საჩემპიონო მატჩში მარგალიტაძე და კუნჭულია შეიბნენ, მესამე ადგილისთვის კი ახალაძე და სიამაშვილი. თავიდანვე ვიტყვით, რომ არცერთი შეხვედრა დაძაბული არ ყოფილა. პირველი სეტი მარგალიტაძემაც და ახალაძემაც „მშრალზე" მოიგეს. მეორეში სიამაშვლმა მხოლოდ ოდნავ მეტი წინააღმდეგობის გაწევა შეძლო. ეს იყო და ეს — ახალაძემ გაიმარჯვა 6:0, 6:2 და შარშანდელი მესამე ადგილი შეინარჩუნა.

კუნჭულია მეორე სეტში გაცილებით მწვავედ და ზუსტად ათამაშდა დაა საქმე ტაიბრეიკამდეც მიიყვანა, თუმცა მაინც დამარცხდა 0:6, 6:7.

მეხუთე ადგილი კიკალეიშვილს ერგო გოგილაშვილის გამოუცხადებლობის გამო, მეშვიდეზე კი ასევე უბრძოლველად გავიდა ეძგვერაძე.

ჩემპიონატი კარგად იყო ორგანიზებული. აქვე ერთი დეტალი, თუმც არცთუ უმნიშვნელო, გვინდა აღვნიშნოთ. თუკი თეატრი გასახდელიდან იწყება, ნებისმიერი სპორტული ასპარეზობა — ცხრილითა და თამაშების განრიგით. ამ მხრივ ეს ტურნირი მართლაც სამაგალითო იყო. ძველი ჩოგბურთელის არჩილ კაკულიას მიერ ლამაზად გაფორმებული ცხრილიდან ყველაფერს იოლად გაიგებდით — ვინ ვის როდის ეთამაშებოდა და იმასაც, თუ ვინ რამდენს მიიღებდა. ჩემპიონისთვის 150 ათასი მანეთი და 50 დოლარი იყო განკუთვნილი, მეორე ადგილისთვის 100 ათასი, მესამესთვის — 50 ათასი.

შეჯიბრების შემდეგ გავესაუბრეთ საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ნიკო ელერდაშვილს. მან აღნიშნა, რომ ექვსეულში შესულნი გახდნენ ნაკრების კანდიდატები, რომლებიც აქედანვე იწყებენ მზადებას საგაისო დევისის თასისთვის. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც ამ ექვსთაგან შეირჩევა სანაკრებო ოთხეული. იანვარში კიდევ ერთი ჩემპიონატი ჩატარდება, რომლის შედეგებიც ალბათ გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს კანდიდატთა სიაში. გაზაფხულზე კი მოეწყობა გადამწყვეტი ტური და საბოლოოდ მაშინ გაირკვევა გუნდის შემადგენლობა.

მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა კუნჭულიას მზარდი ოსტატობა და ისიც, რომ ლიდერებმა საკადრისად ვერ ითამაშეს. ის კი არა, შარშანდელი გამარჯვებული მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

გუშინ იქვე, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტებზე დაიწყო ქალთა ტურნირი, რომელშიც 16 უძლიერესი მონაწილეობს შარშანდელი ჩემპიონის სოფიკო მანაგაძის წინამძღოლობით.

გია ახალაძე

**მსოფლიო თასი**

ევროპის ზონის დასკვნითი ეტაპი. 1.X. კატანია. იტალია 24 (8ს: დომინგესი) — რუმინეთი 6 (2ს: ნიკიციანი)

**ქარრის თასი**

ფინალი. 1.X. ბლუმფონტეინი. „სპრინგბაქ პარკი". ნარინჯი 33 (16) (3ლ: ა. ფუნტერი - 2, ბადენჰორსტი; 3გ, 3ს, ა: ჰერბერთი) — ტრანსვაალი 56 (31) (7ლ: რუსო, პ. ლერუ, ი. რუ, პრობლერი, სავარიმო, ჰენდრიქსი, შმიდტი; ნგ, 3ს: ჯონსონი)

**არგენტინა სამხრეთ აფრიკაში**

(I თამაში) 27.IX. ველინგთონი. სამხრეთი აფრიკის სამომავლო ნაკრები 20 — არგენტინა 51. (II) 30.IX. ისთ-ლანდონი. კონცხის საზღვარი 25 — არგენტინა 41

**რანფერლის ფარი**

1.X. ქრაისტჩერჩი. ქენთებრი 22 (10) (2ლ: ბალე; 4ს: მერთონი) — ოთაგო 20 (15) (3ლ: ჯოზეფი, ს. ბეშოფი, კოხთერი; გ: ბეშოფი, ს: ვილსონი)

# „ოქროს ლომების" მეორე დუბლი

სამხრეთ აფრიკის პროვინციათა პირველობის — ქარრის თასის ფინალი ნარინჯის თარხანი სახელმწიფოს დედაქალაქის მნიშვნელობით მეორე ასპარეზზე (პირველს საგაისო მსოფლიო თასისთვის არემონტებენ) 24-გრადუსიან სიცხეში ჩატარდა. საქმე ისაა, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩვენი სათვალავით ახლა აპრილია.

მასპინძლები თავისიანების თავგამოდებული ქომაგობით არიან ცნობილი, მაგრამ ამჯერად ამაოდ დაშვრებოდნენ: ტრანსვაალელმა „ოქროს ლომებმა", რომლებსაც ამოუწურავი რესურსები კი გააჩნიათ, მაგრამ წელს ბევრი ვერაფრით გამოიჩინეს თავი, ბოლოსდაბოლოს ითამაშეს ისე, ნაკრების ბირთვისა და მწვრთნელის მშობლიურ პროვინციას რომ ეკადრება.

სტუმრები მე-10 წუთისთვის 14:3 იგებდნენ. მერე ნარინჯმა იძალა და როცა ერიკ ჰერბერთმა, ვისაც თამაშის ბოლოს 100-პროცენტიანი შედეგი ალმოაჩნდა, 35-ე წუთზე არეკნი შეაგდო, მასპინძლები პირველად და უკანასკნელად დაწინაურდნენ 16:14. ამას ტრანსვაალმა ბლიცკრიგი მოაყოლა და შესვენებამდე დარჩენილ 300 წამში ერთბაშად 17 ქულა მოიმკო.

მეორე ნახევარში თამაში ტრანსვაალის კარნახით მიმდინარეობდა, რაკილა დერეფანს ერთთავად იგებდა. ბურთაობით ნარინჯმაც იბურთავა, მაგრამ მეტოქეს ვერ დაეწია. ტრანსვაალის ბოლო ლელო ვეტერანმა კაჭმა ული შმიდტმა გაიტანა. ისა და მოუხელთებელი უკანახაზელი ჰერბრანდ პრობლერი წინათ ჩრდილოეთი ტრანსვაალის გუნდში თამაშობდნენ.

„ოქროს ლომებმა" ზედიზედ მეორე წელია დუბლი შეასრულეს — ლომის თასიც მოიგეს და ქარრისაც.

ამასობაში სამხრეთ აფრიკაში ჩასულან არგენტინელი „პუმები", რომლებსაც ორ მომდევნო უქმეზე ტესტები ელით. სტუმრებმა ორივე მოსამზადებელი თამაში მოიგეს, თუმცაკი კონცხის საზღვარს მეორე ნახევრის დასაწყისში ჩამორჩებოდნენ, პირველად კი 72-ე წუთზეღა გაუსწრეს.



ნირწამხდარი რუმინელები

გაირკვა მსოფლიო თასის პირველ ქვეჯგუფში სამხრეთი აფრიკის ბილი, მესამე მეტოქეც. რუსების მჯობნი რუმინეთი უელსთან შინ წაგების მერე იტალიასთანაც დამარცხდა, ოღონდ ისე, რომ ლელო ვერც თავად გაიტანა და არც მეტოქეს გაატანინა. ამით რუმინეთმა სამი გუნდის ტურნირში ბოლო ადგილი დაიჭირა და ქვეჯგუფში სამ ბუმბერაზთან — ავსტრალიასთან, სამხრეთ აფრიკასა და კანადასთან მოხვდა.

შაბათს ქრაისტჩერჩის „ლანქასთერ პარკზე" ანშლაგი იყო — 45 ათასი ბილეთი მატჩამდე ორი კვირით ადრე გასაღებულიყო. მასპინძელი ქენთებრი გარდამავალ ფარს მეორედ და წელს უკანასკნელად იცავდა მეზობლის — ოთაგოს ხელყოფისაგან.

ოთაგოს თავიდან საქმე კარგად წაუვიდა — შეუტია და დაწინაურდა. თამაშის დამთავრებამდე 20 წუთი რომ რჩებოდა, ფარის მოცილე 20:10 იგებდა, მაგრამ აქ მფლობელმა შეუტია და 21 წლის 10 ნომერმა ენდრიუ მერთონმა ზედიზედ ოთხი საჯარიმო შეაგდო. ბოლო გოლი მას შემდეგ გავიდა, რაც დაცვით ილაჯგაწყვეტილმა სტუმრებმა კარის წინ გამართულ შეჯგუფებაში თამაშგარეს წესი დაარღვიეს.

ამ გამარჯვებით ქენთებრიმ ფარიც შეინარჩუნა და ჩემპიონატის ნახევარფინალშიც გავიდა. ცხრილში წინ ოკლენდი და ჩრდილოეთი ნავსაყუდელი არიან, თუმცაკი ამათ წელს ფარის დაუნჯების შანსი არც მისცემიათ, ვინაიდან მის ადრინდელ მფლობელ ვაიქათოსთან კალენდრით სტუმრად არ მოუწიათ თამაშმა — ახალი ზელანდიის პირველობა ერთ წრედ ეწყობა, ფარის მოსაგებად კი მფლობელი მისსავე მოედანზე უნდა დაამარცხო.

მსოფლიოს ჩემპიონებმა — ავსტრალიელმა „ვოლაბებმა" ერთი მოთამაშე დაიწიკლისეს. შუაზარბმა ენთონი ჰერბერთმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ქრამზ რეფილდის „მატრაკვეცებთან", რომელიც ლიგის რაგბის კლუბია და საიმისოდ შექმნილა, გაისად ვინფილდის თასის განვრცობილ გათამაშებაში რომ ჩაებას. ამ თასის გამო მედიაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო გაჩაღებული, აქაო და თამაშები ისე მთავრდება, როგორც ტოტალიზატორის მოთამაშე მავან დიდი გვამებს აწყობთო. მართლაც, როგორც ორმა პროფესიონალმა აღიარა, მავანთ მათთვის ფული შეუძლევიათ, ისე გაისარჯეთ, თამაშები ჩვენთვის სასურველი შედეგით რომ დამთავრდესო. მედიას ისიც განუცხადებია, ზოგიერთი ლიგელი თავად თამაშობს ტოტალიზატორს, ფულს თავისივე კლუბის წაგებაზე დებს, საბოლოოდ კი მოგებული რჩებაო. საქმე ისე გართულდა, რომ სიდნეის პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო, რასაც ახალი სამხრეთი უელსის ლიგის რაგბის მამა ჯონ ქვეილი მიესალმა, აქაო და მაგას რა სჯობს, თუკი სიმართლე გაირკვევა და ჩვენს დიდებულ, იუბილარ თამაშს პირი მოეხოცებაო — ლიგის რაგბს გაისად ხომ ასი წელი უსრულდება!

ზაზა ფხაკაძე

# კაცი - არეკნი

კახა მაჩიტიძე ქართველ მორაგბეთაგან ერთადერთია, მაღალი დონის ორივე რაგბი — კავშირისა (თხუთმეტკაციანი) და ლიგისა (ცამეტკაციანი) რომ დაუჭაშნიკებია. მის გარდა არცერთ ქართველს არ ღირსებია ავსტრალიის სათამაშო სახეობათა მექაში — სიდნეის „ფუთბოლ სტეიდიუმზე" თამაში, სადაც შარშან თვით მარადონამ გააგორა ბურთი. ჩიჩშია იმითაც უნიკალურია, რომ ქუთაისიდან თბილისში სათამაშოდ გადმოსული... სპორტის დეპარტამენტის ერთ კაბინეტში ცხოვრობს: რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ რუხაძემ დიდსულოვნად დაუთმო ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბეს საკუთარი სამუშაო ოთახის კუთხე.

— ლიგის რაგბში როგორ მოხვდით?

— შარშან გამოჩნდა მოსკოველი სპონსორი, რომელმაც „ერქვანს" ლიგის რაგბში გადასვლა შესთავაზა, სანაცვლოდ დაფინანსებას დაპირდა. მოსკოვში ერთი ტურნირიც ვითამაშეთ, რის შემდეგაც მე და ზაზა შავგირაძე რუსეთის ნაკრების შეკრებაზე დაგვტოვეს.

— რაიმე ტურნირისთვის გამზადებდნენ?

— თებერვალში სიდნეიში გაიმართა ლიგის რაგბის უდიდესი საერთაშორისო საშვიდკაცო ტურნირი და იმისთვის ვემზადებოდით. შეკრება მოსკოვის ოლქში, ელექტროუგოლში გავიარეთ. ჩავაბარეთ ტესტები. ზაზა დაიწუნეს, მე — გუნდში ამიყვანეს. ამ გუნდს რუსეთის ნაკრებს პირობითად თუ უწოდებდი — ჩემს გარდა იქ ყაზახეთის მორაგბეები — ხოხლოვი, ბიჩკოვი და ზუევიც გამოდიოდნენ.

— სიდნეიში რა მოხდა?

— ლიგის რაგბს პირადად მე ალლო ბოლომდე ვერ ავუღე. ალბათ სხვებმაც და ამის გამო მხოლოდ ერთი მატჩი მოვუგეთ იაპონიას 9:8. დანარჩენებში დავმარცხდით და 24 გუნდში 23-ე ადგილი დავიკავეთ.

— დიდი სხვაობაა კავშირის და ლიგის რაგბებს შორის?

— ძალიან. როგორც წესებში, ისევე სტილში. მარტივად რომ ვთქვათ, კავშირის რაგბი შემოქმედებაა, ლიგისა — ნგრევა. პირველში ტაქტიკა გჭირდება, მეორეში კი უმთავრესი ფიზიკური მონაცემებია: კომბინაციები თითქმის არ არის — მთავარია ბურთი აიღო და რამენაირად რაც შეიძლება შორს წაზიდე. ამიტომაც იყო, ვარჯიშებზე ძირითადად მძლეოსნობასა და ძალოსნობაში რომ გვამზადებდნენ.

— ესე იგი, კავშირის რაგბს ამჯობინებთ?

— ულაპარაკოდ.

— ნაკრებში გამოსვლისთვის ფული თუ გადაგიხადეს?

— არც ერთი კაპიკი. ისე, სპონსორი დაგვპირდა, თუ სიდნეიში მესამე ადგილზე მაინც გახვალთ, 50 000 დოლარს მოგცემთო. ამ ადგილზე გასვლა ზღაპარი იყო, ამიტომაც ხელ-ჯიბეცარიელები დავრჩით.

— ლიგის რაგბში გამოსვლისას თუ იყენებდით თქვენს უსაყვარლეს და უძლიერეს იარაღს — არეკნით დარტყმას?

— სიდნეიში ყველა თამაშს დიდი სხვაობით ვაგებდით, ამიტომ არეკნის დარტყმას აზრი არ ჰქონდა. თუმცა, ამ თამაშს ისეთი სპეციფიკა აქვს, ამგვარი რამეები არ გამოგადგება. ისე, არეკნი არ დამვიწყებია, ბოლოსდაბოლოს, საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი ვარ ამ საქმეში: ერთხელ გავიგე, რომ კიეველ სლიუსარს ერთ სეზონში 14 არეკნი გაეტანა. სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდში თამაშისას პირადად დავიწყე ჩემი არეკნების თვლა და სეზონის ბოლოს 22 დამიგროვდა.

— მოსკოვში რად აღარ დარჩით?

— პირველ რიგში იმიტომ, რომ ლიგის რაგბი არ მომეწონა. მეორეც, აღარ იყო დაფინანსება და თავს ველარ ვირჩენდი.

— საქართველოში დაბრუნებულმა „აიას" მიაშურეთ...

— დიახ, „აიაში" ვითამაშე. მაგრამ დიდხანს ვერ გავჩერდი. არც აქ იყო ფული, ცოლ-შვილი კი უნდა მერჩინა. ბედად, „გუმარი" შეიქმნა...

— თავად მოგიწვიეს?

— ქუთაისში ყოფნისას ჩემმა ძველმა თანაგუნდელებმა მითხრეს, რომ ყალიბდებოდა ახალი გუნდი. თუ დაგვჭირდები, დაგიძახებთო... და მეც ორი თვე ველოდი. შემდეგ „გუმარი" შეიქმნა, ბიჭებმა ჩემზე ხელმძღვანელობას მოახსენეს, მათ კი თბილისში მიმიწვიეს.

— ჩერჩერობით „გუმარში" დარჩებით?

— ჯერჯერობით კი არა, ალბათ სამუდამოდ. ჩვენი გუნდი ძლიერია, არც პატრონები გვაკლებენ ყურადღებას და მეტი რა მინდა! ვვარჯიშობ, კარგადაც ვითამაშებ და კიდევ ბევრ არეკნს გავიტან.

მერაბ რატიშვილი



**კახა მაჩიტიძე**

დაიბადა 1969 წელს ქალაქ ქუთაისში

თამაში დაიწყო 1986 წელს რამაზ სვანიძესთან ქუთაისის „რიონში"

კლუბები: „აია" (ქუთაისი), სამხედრო-საჰაერო ძალები (თბილისი), ერქვანი (ქუთაისი), გუმარი (თბილისი)

სსრკ-ის ჩემპიონი და თასის მფლობელი (1987)

საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი. უთამაშია რუსეთის ლიგის რაგბის ნაკრებში

მეტსახელად „ჩიჩმია" ან „ჩიჩმე"

სანახევროდ უცხო ხილი

# „არწივების" დაკორტნილი „კატები"





1 ოქტომბერს დასრულდა ავსტრალიელთა უსაყვარლესი თამაშის — მათებური ბურთაობის წლევანდელი სეზონი, რომელიც მარტის ბოლო უქმეებზე დაიწყო და ზედიზედ 28 კვირასაც გასტანა. ამ ხნის მანძილზე ავსტრალიური ბურთაობის ლიგის (AFL) 15 გუნდს სულის მოსათქმელად სად ეცალა — სულ იმის ცდაში იყო, როგორმე დაემკვიდრებინა ადგილი მოწინავე რვეულში, რომელმაც წელს მანამდე არსებული ხუთეული შეცვალა.

უნდა ითქვას, რომ AFL გადახალისებული და განვრცობილი ვიქტორიის საბურთაო ლიგაა. თუ წინამორბედში ოდენ მელბურნისა და მისი შემოგარენის კლუბები ირიცხებოდნენ, ახალმა ლიგამ სხვა ოთხი შტატიდან თითო გუნდი აიმატა.

ახალი ლიგის თამაშები სამ დღეს — პარასკევს, შაბათსა და კვირას იმართება, რისი მიზეზიც მარკეტინგული მოსაზრებების გარდა ტევად სტადიონთა სიმცირეშიც უნდა ვეძიოთ. ლიგის 15 წევრიდან 10 მელბურნისაა, ამ ქალაქში კი ლიგის თამაშები მხოლოდ კრიკეტის მოედანზე, ვეივერლი პარკზე, დასავლეთ ოვალზე, ვიქტორიის პარკსა და პრინსის პარკზე ეწყობა. სხვა ქალაქების გუნდებიც კრიკეტის მოედნებზე თამაშობენ — ავსტრალიურ ზამთარში ეს მოედნები მოცლებოდნენ, ბურთაობა რომ არა.

ყოველ ტურში შვიდი წყვილი თამაშობს, მეთხუთმეტე, კენტად დარჩენილი გუნდი კი უქმობს. წელს წინასწარი შეჯიბრი 24 ტურად მოეწყო. ვინაიდან გუნდებმა თამაშთა არათანაბარი რაოდენობა გამართეს, ქულათა ტოლობის შემთხვევაში ადგილების გასანაწილებლად მოხვეჭილ ქულათა წილს ითვალისწინებდნენ.

4 სექტემბერს გამოვლინდა მოწინავე რვეული: პერთის „დასავლეთსანაპიროელი არწივები" (16 მოგება); კარლტონის „ლურჯები" (15); ჩრდ. მელბურნის „კენგურუები", ფუთსკრეის „ბულდოგები", ჯილონგის „კატები" და ჰოვსორნის „ქორები" (13); მელბურნის „დემონები" და კოლინგვუდის „კაჭკაჭები" (12). რვეულსა და პლეიოფს მიღმა დარჩნენ რიჩმონდის „ვეფხვები" (12); ესენდონის „ბომბდამშენები" (შარშანდელი ჩემპიონი), ფითსროის „ლომები", სენთქილდას „წმინდანები", ბრისბენის „დათვები", სიდნეის „გედები" და ადელაიდის „ყვავები".

მერე გაჩაღდა ოთხწრიანი პლეიოფი, რომლის პირველივე ტურში ორი თამაში კლასიფიკაციის შესაბამისად როდი დასრულდა. მელბურნის კრიკეტის მოედანზე მეოთხე ნომერ ფუთსკრეისა და მეხუთე ნომერ ჯილონგის თამაშს 62 ათასი კაცი დაესწრო და არც ინანა: „კატებმა" 100-წუთიანი თამაშის ბოლო წამზე შეაგდეს გოლი და 106 (15, 16) : 101 (15, 11) მოიგეს. (გოლის გატანა 6 ქულად ფასობს და მონაგარში მეორე მაჩვენებლად წერენ)

იმავე დღეს ვეივერლიზე 38-ათასიანი საზოგადოება იშვიათი სანახაობის მოწმე შეიქნა: ბურთაობის ისტორიაში პირველად დაინიშნა დამატებითი დრო — ორი ხუთწუთიანი მონაკვეთი. „კენგურუები" (3) პირველი მეოთხედის შემდეგ 14 ქულით აგებდნენ „ქორებთან" (6), ნახევარი დროის შემდეგ თავად იგებდნენ 21 ქულით, სამი მეოთხედი დროის შემდეგ მეტოქეს 5 ქულით ჩამორჩებოდნენ, დამატებით დროში კი მეტოქე მშრალზე დატოვეს, თავად (3, 5) გაიტანეს და 23 ქულით გაიმარჯვეს. დანარჩენ ორ მატჩში „არწივებმა" (1) მოუგეს „კაჭკაჭებს" (8), მაგრამ „ლურჯებმა" (2) წააგეს „დემონებთან" (7).

ავსტრალიური პლეიოფის წესებით ოთხი მოწინავე პირველივე გამარჯვების შემთხვევაში ე.წ. წინასწარ ფინალში გადის, ოთხი მაჩანჩალა პირველივე წაგებით ეთიშება შეჯიბრს, დანარჩენები კი ე.წ. ნახევარფინალში ებმებიან. ამ ეტაპზე მეორედაც წააგეს „ლურჯებმა": მათ ვეივერლიზე (53 ათასი) 105 (15, 15) : 72 (10, 12) აჯობეს „კატებმა" და შეჯიბრს გამოთიშეს. „ლურჯების" ხვედრი გაიზიარეს „ბულდოგებმაც": მათ „დემონებთან" წააგეს.

წინასწარ ფინალებში „კატებმა" კიდევ ერთი სენსაცია გააგორეს და ისევ ბოლო წამზე: კრიკეტის მოედანზე (80 ათასი) 109 (16, 13) : 103 (14, 19) მოუგეს „კენგურუებს". მართალია, ჯილონგელი მობურთალები მესამე მეოთხედის მერე 18 ქულით იგებდნენ, მაგრამ 97-ე წუთზე გატანილი უკუ-გოლით (ერთი ქულით) უკვე მათ მოუწიათ ანგარიშის გათანაბრება 103:103, თამაშის ბოლოს კი ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა გარი ებლოთმა ბურთი ალალად დაიჭირა და კარისკენ დარტყმა სირენამდე მოასწრო.

მეორე წინასწარ ფინალში „არწივები" შინ, პერთში (36 ათასი) ეთამაშნენ „დემონებს" და 65 ქულითაც დაანგრიეს 117 (16, 21) : 52 (8, 4). ერთი სიტყვით, დიდ ფინალამდე, რომლის საცქერლადაც მელბურნის კრიკეტის მოედანზე 94 ათასი კაცი შეიკრიბა, „არწივებმა" დასვენებულებმა მიაღწიეს, ჯილონგის „კატებმა" კი შეჯიბრებას მეოთხე, მეორე და მესამე გუნდები გამოთიშეს და ახლა პირველი ნომრის პირისპირ დადგნენ.

ძალა ალმართსა ხნავსო და „კატებიც" ველარ გაუძალიანდნენ „არწივებს". ამათ 80 ქულით გაიმარჯვეს 143 (20, 23) : 63 (8, 15). ჯილონგის გუნდმა პირველი მეოთხედი კი მოიგო ერთი კინკილა ქულით, მაგრამ მეორე (1, 3) : (4, 9) წააგო, 75 წუთის შემდეგ კი უკვე 36 ქულით აგებდა.

პერთის „არწივებმა" ბოლო სამ სეზონში მეორედ მოიგეს პირველობა, რამაც დიდად დაამწუხრა ბურთაობის მომგონი ვიქტორიელები. ამათ, „არწივების" გადამკიდეებს, შარშანწინ დებულებაც კი შესაცვლელი გაუხდათ. იმსჯელეს, იმსჯელეს და დაადგინეს, რომ დიდი ფინალი ამიერიდან პირველი გუნდის მოედანზე კი არ გაემართათ, არამედ მაინცდამაინც ვიქტორიის დედაქალაქ მელბურნში. თუმცა წელს ვერც ამან უშველათ: ჯილონგი მელბურნიდან 75 კილომეტრითაა დაშორებული, მაგრამ მაინც ვერ მოერია გადამთიელს, ვისი ქალაქიდანაც ბურთაობის ადგილის დედამდე 2 800 კილომეტრია.

ყაფლან ჯანდიერი

**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით

ინდექსი 66 441

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის:
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიხინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მჟავანელია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)